1 ივლისი

2023

რიგითი XIII კვირა [I], მწ

(18.VI) წმ. ღიხსი მიქაელ უღუმბელი, მონაზონი, VIს

შაბათი

დაბ 18,1-15; გალ. ლკ 1,46-55; მთ 8,5-17

თუთხრა მას: "მე მოვალ
და განვკურნავ მას" მთ 8,7

რაოდენ მოწყალე ხარ, იესო! როს ჩვენს გასაჭირს, ჩვენს თავმდაბლობას და სიყვარულს ხედავ, ჩვენდა შეწევნად მოდიხარ. ყოველდღე გიახლოვები, რათა გაგანდო ჩემი და ჩემი საყვარელი ადამიანების წუხილი. მადლობა, რამეთუ მუდამ აქ ხარ.

2 ივლისი

რიგითი XIII კვირადღე, «ა», [I], მწ

2023 ᲙᲕᲘᲠᲐ

4მეფ 4,8-11.14-16; ფს 88; რომ 6,3-4.8-11; მთ 10,37-42

ვინც თქვენ მიგირ̌ებთ,
ის მე მიმიღებს მთ 10,40

ამ სიტყვებით აიმედებს იესო მოწაფეებს თავის მუდმივ თანადგომაზე. მან უწყის, რომ ისინი, ვინც მას თავიანთი ცხოვრების უფლად აირჩევენ, შესაძლოა საკუთარი სახლიდან იგრძნონ მტრობა, მრავალთა უარყოფისა და გულგრილობის ჯვრის ტარება მოუწევთ. ხოლო მათ, ვინც მოწაფეებს მიიღებს და უმასპინძლებს, თუნდაც ჭიქა წყლის შეთავაზებით, თავის ჯილდოს უბოძებს: მარადიულ სიხარულს.

3 ივლისი

წმ. თომა მოციქული, (დ), [ს], წ

2023 ორშაბათი

ეფ 2,19-22; ფს 116; იო 20,24-29

მშვიდობა თქვენდა იო 20,26

სადაც კი მივა იესო, იქ ჭეშმარიტად იმეფებს მშვიდობა. სადაც მის სიტყვას ვუსმენთ, მუდამჟამს იქ მყოფია. მას ყველა თავისებურად უყვარს; თანაგრძნობას იჩენს და, თუ გვკიცხავს, სიყვარულით გვკიცხავს. სიღრმისეულად გვცნობს, ამიტომაც ვენდობით და მის მორჩილებაში ვართ.

წმიდა თომას, საყვედურის შემდეგ, მშვიდობა ეუფლება: თავისი თავმდაბლობით ის ჩვენთვის მაგალითია.

4 ივლისი

2023

(21.VI) წმ. ახჩიღი, საქართველოს მეფე, +744;
წმ. ეღისაბედ პორტუგალიელი, +1336

სამშაბათი

დაბ 19,15-29; ფს 25; მთ 8,23-27

რამ შეგაშინათ? მთ 8,26

მოწაფეები თავგზააბნეულნი იმყოფებიან ნავზე. მათ შიშს ის ფაქტი ამყარებს, რომ ვერ იესოში, თავიანთ მოძღვარში, ვერ დაინახეს იმ ღმერთის ხელი, ვინც მათ მამებმა ირწმუნეს და ვისაც ქარი და ზღვაც კი ემორჩილებოდა.
მადლობა, იესო, რამეთუ შიშის, გაურკვევლობისა და მღელვარების წუთებში, ჩვენი გულის სიღრმიდან მოხმობილი შენი სახელის სიდიადე გვმატებს ძალას და სიმშვიდეს.

5 ივლისი

2023

რიგითი XIII კვირა [I], მწ

წმ. ანტონ მარია ზაქარია, ხუც., +1539

ოთხშაბათი

დაბ 21,5.8-20; ფს 33; მთ 8,28-34

თუ განგვდევნი, ნებავ გვიბოძე,
ღორების კოლტს შევერიოთ მთ 8,31

უფალო იესო, შენს წინაშე თვით დემონებიც ცახცახებენ, ისინი, რომლებიც შენს ადგილს იკავებენ ადამიანში, მის სულსა და სხეულს ხრწნიან. როდესაც გულში ნაღველი დაისადგურებს და ცდილობს ჩაახშოს მამისადმი ნდობა და მოყვასისადმი სიყვარული, მე შენსკენ ვისწრაფვი: შენ ცოცხალი ხარ და აღმდგარი, რათა ჩვენც გვიბოძო ჭეშმარიტი სიცოცხლე.

6 ივლისი

2023

რიგითი XIII კვირა [I], მწ

წმ. მახია გოხეტი, ქაღწ. და მოწ., +1902

ხუთშაბათი

დაბ 22,1-19; ფს 114; მთ 9,1-8

ღმერთს გმობსო იგი მთ 9,3

იესო, შენ უძვირფასესი სიტყვა უთხარი
დავრდომილს: სიტყვა, რომელიც შენი
რწმენით ბოძებულ შენდობას განამტკი-
ცებს. ეს სიტყვა მას სიხარულს და ახალ
სიცოცხლეს, ჭეშმარიტ სიცოცხლეს სძე-
ნს. აი, რას ფიქრობენ „სწავლულნი“!
შეიწყალე, იესო, დღესაც... და მარადის:
შენი მიმტევებელი სიტყვა ყოველ კაცზე
ბოძებული სიცოცხლის სიტყვაა! მადლი-
ერებით გცემთ თაყვანს: იგი შენი მსხვე-
რპლის ნაყოფია.

7 ივლისი

2023 პარასკევი

დაბ 23,1-4.19; 24,1-8.10.62-67; ფს 105; მთ 9,9-13

წყალობა მნებავს მთ 9,13

გაოგნებულები იყვნენ მაშინდელი „სასულიერო პირნი“ ! როცა ხედავდნენ რა უბრალოდ ცხოვრობდი, როგორ ჭამდი და სვამდი გლახაკებთან, ცოდვილებთან რომ იზიარებდი სუფრას...
იესო, შენი ცხოვრება მათ „აღაშფოთებს“, ვინც ჭეშმარიტებას არ ცნობს, ვინც არ იცის, რომ ღმერთი ოდენ სიყვარულია! განგადიდებ შენ, რამეთუ შენ ხარ ღირსი მიბაძვისა!

8 ივლისი

2023 შაბათი

დაბ 27,1-5.15-29; ფს 134; მთ 9,14-17

ახალ ღვინოს ჩაასხამენ ახალ ტიკებში მთ 9,17

მშვენიერ სურათს გვაწვდის იესო ახალ სიცოცხლეზე, რომელიც მასთან შეხვედრით აღმოცენდება! იგი უკუაგდებს ეტიკეტებს, წესებს, ფორმალობებს, დამსახურებებს; ახალი ღვინოს მსგავსად „დუღს“ სიხარულით, უანგარობის ძალითა და სიახლით, სულიწმიდით. იგი მუდამ პოულობს გამოხატვის ახალ გზებს.

9 ივლისი

რიგითი XIV კვირადღე, «ა», [II], მწ

2023 ჯვირა

ზაქ 9,9-10; ფს 144; რომ 8,9.11-13; მთ 11,25-30

ყველაფერი მამისგან მომეცა მე მთ 11,27

იესომ მამისგან შეიძინა სიყვარულისა
და სიცოცხლის გაცემის მთელი „ძალა-
უფლება“!
შენთან მოვალ, იესო და შენი გულის
წყაროს დავეწაფები: სიყვარულს ვეზია-
რები, იმ სიყვარულს, რომელიც სხეულს
და სულს აპურებს, რომელიც სიხარულს
და ძალას გვმატებს, მოგიძღვნი საკუ-
თარ თავს და შენთან ერთად ვატარებ
ჯვარს.

10 ივლისი

2023

რიგითი XIV კვირა [II]

(27.VI) წმ. ღირსი გიორგი მთაწმინდელი, +1065, (მ), თ

ორშაბათი

დაბ 28,10-22; ფს 90; მთ 9,18-26

მივიდა იესო, ხელი მოჭიდა გოგონას, და ისიც ადგა მთ 9,25

გოგონა მოკვდა... იესოს თქმით, მხოლოდ ეძინა. თავისივე ხელით წამოაყენა. გაოცებული და ბედნიერი ვარ, მწამს შენი, იესო: შენ მეც მაფხიზლებ იმ ძილისაგან, რასაც "სიკვდილს" ეძახიან, მე კი სამუდამოდ მოვილხენ ჭეშმარიტი ცხოვრებით, სადაც მხოლოდ სიყვარულია.

11 ივლისი

2023

წმ. ბენედიქტე, აბატი, +547
ევროპის მფარველი დ, [ს], თ

სამშაბათი

იგ 2,1-9; ფს 33; მთ 19,27-29

რაბათში ბენედიქტელ დედათა დღესასწაული

მივატოვეთ ყველაფერი და გამოგყევით; რა გვექნება ჩვენ? მთ 19,27

წმიდა ბენედიქტე, შენ უამრავმა ადამიანმა გაღიარა „მამად“: მხოლოდ იესოს გაჰყევი, სწორუპოვრად, შენ მათთვის ჭეშმარიტი ცხოვრების წყაროდ იქეც. ილოცეთ ჩვენთვის და ჩვენც გვეყოფა ძალა, რათა გავყვეთ უფალს, ვილოცოთ და ვიღვაწოთ; ჩვენც გებოძება კურთხევა, სიბრძნე „განსასჯელად“ , შენი მაცხოვნებელი სიტყვის საუწყებლად ჩვენს ხალხზე და მთელს მსოფლიოზე.

12 ივლისი

რიგითი XIV კვირა [II], მწ

2023 ოთხშაბათი

დაბ 41,55-57; 42,5-7.17-24; ფს 32; მთ 10,1-7

მოახლოვდა ცათა სამეფო. მთ 10,7

ეს უწყება იესოს მიერ წარგზავნილ მოწაფეებს უნდა „ექადაგათ“, მას შემდეგ, რაც მისგან ძალაუფლება ებოძათ უწმინდურ სულებზე.
დღეს შენ მოგეკედლები, ჩემო იესო, შენ ჩემში ცოცხლობ და მეც ვაცხადებ, რომ შენი სამეფო ახლოა: ღიმილს შევაგებებ მათ, ვინც ცხოვრებას მირთულებს; დავასრულებ დაწყებულ მძიმე სამუშაოს; სანუგეშოდ მივალ გასაჭირში მყოფთან...

13 ივლისი

2023

(30.VI) წმ. ღინახ ღედოფაღი, X ს;
წმ. ჰენრიხი, + 1024

ხუთშაბათი

დაბ 44,18-21.23-29; 45,1-5; ფს 104; მთ 10,7-15

უსასყიდლოდ მიგიღიათ მთ 10,8

ჩვენ, იესოს მოწაფეებს, უსასყიდლოდ
გვებოძა მისი ცოდნა: მის ეკლესიაში
ვისისხლხორცებთ მის სიყვარულს, მისი
სიტყვის სიუხვისა და წმიდა საიდუმლო-
თა ძალის წყალობით. ჩვენ მხოლოდღა
ძალგვიძს გაოცება მისი წყალობის წინა-
შე და მადლიერება სამარადჟამოდ.

14 2023 ივლისი

რიგითი XIV კვირა [II], მწ

წმ. კამილო დე ელეისი +1614
კამილიელთა ორდენის დამაარსებელი

პარასკევი

დაბ 46,1-7.28-30; ფს 36; მთ 10,16-23

კამილიელ მამათა და დედათა დღესასწაული,
სნეულთა და მედმუშაკთა მფარველი

გგზავნით თქვენ როგორც ცხვრებს მგლების ხროვაში *მთ 10,16*

“ჭეშმარიტად ღვთის ძე იყო ეს კაცი, - თქვა ასისთავმა, როდესაც იხილა, როგორ ლოცავდა ღმერთსა და ადამიანებს ტანჯვისა და სიკვდილის წუთებში. ამ ხილვამ სრულიად შეცვალა მისი გული: და მგლები ცხვრებად იქცნენ! იესო ყველას მიგვავლენს... მე, შენ... რათა გადარჩენის იარაღი ვიყოთ მათთვის, ვინც მას არ იცნობს: ის მუდამ ჩვენს გვერდით იქნება და ნაყოფს გამოსახამს ჩვენს საქმეებს.

15 2023

ივლისი

რიგითი XV კვირა [III]

წმ. ბონავენტურა,
ეპ. და მოძ., +1274, (მ), თ

შაბათი

დაბ 49,29-33; 50,15-26; ფს 104; მთ 10,24-33

საკმარისია მოწაფისათვის იყოს ისეთი, როგორც მისი მოძღვარი მთ 10,25

ქრისტიანი მშობლები წმინდა სიყვარულის მატარებლები არიან თავიანთი შვილებისთვის: მათ გზას იმ დიადი მიზნისკენ მიმართავენ, რომელიც იმედებს არ გაუცრუებს; ღზრდიან მათ იესო სიყვარულში, მის მიბაძვაში... რაც უფრო დროზე დაიწყებენ მათ აღზრდას რწმენაში და ხშირად ილოცებენ, წარმატებაც არ დააყოვნებს: მათ ყველაფერი მიეცემათ.

16 ივლისი

რიგითი XV კვირადღე, «ა», [III], მწ

2023 კვირა

ეს 55,10-11; ფს 64; რომ 8,18-23; მთ 13,1-23

აჰა, გამოვიდა მთესავი თესვად მთ 13,3

ეს იესოს გრძელი იგავია, იგავი, რასაც სიზუსტით უხსნის თავის მიმდევრებს: დიახ, რადგანაც არსებით თემას ეხება. ამით, თითქოს იესო ამბობს, რომ ყველაფერი დამოკიდებულია „თესლის“ - მისი სიტყვის მიღებაზე. მადლობა, იესო, რამეთუ კვლავაც აგრძელებ „თესვას“: მიბოძე მიმღები და გულუხვი გული, და ჩემი სიცოცხლე გაუხვდება, თუნდაც მოყვასთათვის!

17 ივლისი

2023 ორშაბათი

გამ 1,8-14.22; ფს 123; მთ 10,34 11,1

ვინც მე მიმიღებს, ის ჩემს
მომავლინებელს მიიღებს მთ 10,40

ჩვენ ყველას გვაქვს საკუთარი, დიდი თუ მცირე გამოცდილება, თუ რაოდენ რთულია ზოგჯერ იესოს მიღება და მისი სიტყვით ცხოვრება: თუნდაც მაშინ, როცა ჩვენგან მიტევებას ითხოვს, როცა სიღარიბის, თვინიერების, ერთგულების არჩევანში მოგვიწოდებს... სამაგიეროდ ყოველთვის დიდი იყო საზღაური: თავად მამა გვაზიარებდა სიყვარულითა და მშვიდობით სავსე თავის ცხოვრებას.

18 ივლისი

2023 სამშაბათი

გამ 2,1-15; ფს 68; მთ 11,20-24

მისმა ასულმა იშვილა და დაარქვა სახელად მოსე გამ 2,10

მოსე... ის ჩვილი იყო; ფარაონის ბრძანებით,როგორც ყველა ებრაელი ჩვილი, ისიც უნდა მომკვდარიყო. სწორედ მისმა ასულმა გადაარჩინა და მოუარა. აქ შენი მოსიყვარული ხელი ურევია ღმერთო, რომელიც ფარული გზით იცავს და წარმართავს ყოველი ადამიანის ცხოვრებას. ზოგჯერ, ძლიერ ვგრძნობთ, როგორ აგვირჩიე შენი წყალობის იარაღად. მადლობას გწირავთ და გეთაყვანებით.

19 ივლისი

2023 ოთხშაბათი

გამ 3,1-6.9-12; ფს 102; მთ 11,25-27

გადიდებ, მამაო. მთ 11,25

იესო, მამის მარადიულო სიყვარულო! შენ
გლახაკებზე განჭვრეტ მისი სიყვარულის
საიდუმლოებას: მისით ხარობ, აქებ და
გულში იმარხავ. შენთან ერთად, იესო,
მეც მსურს ვაკურთხო მამა, მაშინაც, როცა
მისი სიყვარულის გზები ჩემი გულისა და
გონების შესაძლებლობებს აღემატება და
მთელს ჩემს ნდობას იხმობენ.

20 ივლისი

2023

რიგითი XV კვირა [III], მწ

წმ. აპოღინარიუსი, ეპ. და წამ., IIს

ხუთშაბათი

გამ 3,13-20; ფს 104; მთ 11,28-30

ისწავლეთ ჩემგან, ვინაიდან მშვიდი ვარ
და გულით მდაბალი მთ 11,29

იესო, როდესაც მამა სიცოცხლეში მოიხ-
მობს ადამიანს, მას შენს მსგავსად ჩაი-
ფიქრებს, თავისი საყვარელი და მოსა-
წონი ძის მსგავსად. დღეს კი შენს გულს
გვიცხადებს: თვინიერსა და მდაბალს.
ყოველივე შენგან მსურს შევიმეცნო,
მამის გულის გასახარებლად, ის მუდამ
ჩემი ღმერთია!

21 ივლისი

2023

რიგითი XV კვირა [III], მწ

წმ. დავიენტი ბიინდიზეი, ხუც.და მოძ. +1619

პარასკევი

გამ 11,10 12.14; ფს 115; მთ 12,1-8

კამილიელი მ. პავლე შჩეპანეკის გახსენება (+1999)

აქ არის ის, ვინც ტაძარზეც უმეტესია მთ 12,6

იერუსალიმის ტაძარი, ხალხის სიამაყე, ღვთის სამკვიდროდ ითვლებოდა, წმინდა, დიდებულ, საპატიო ადგილად. ხოლო შენ, იესო, გაცილებით დიდი ხარ, ვიდრე ტაძარი: შენ თავად ღმერთის არსებობა ხარ! მსურს პატივი მივაგო ეკლესიას, სადაც შენ მკვიდრობ; პატივს მოგაგებ ჩემს "მცირე" ძმებში, რომელთა სახეებშიც შენ იმალები.

22 ივლისი

2023

წმ. მარიამ მაგდალელი, დ, [ს], თ

შაბათი

ქებ 3,1-4 ან, 2კორ 5,14-17; ფს 62; იო 20,1-2.11-18

დ. ნოელ ლოკატელის გახსენება (+2019)

თუთხრა მას: „მარიამ!“ იო 20,16

იესო, შენ თითოეულ ჩვენგანს სახელით ეძახი, ჩვენ კი გიცნობთ შენ: ვიცით, რომ შენ ხარ ის, ვისაც ჭეშმარიტად უყვარს, სამიდღემჩიოდ, ამიტომაც მივეშურებით სიხარულით იქ, სადაც შენი სიყვარული გვაგზავნის.

წმიდა მარიამ მაგდალელო, საყვარელო, დახსნილო, იესოსგან წარგზავნილო, ეს შენ გალობ ქების ულამაზეს საგალობელს! შენთან ერთად ვგალობთ ჩვენც სააღდგომო გალობას: ალილუია!

23 ივლისი

რიგითი XVI კვირადღე, «ა», [IV], მწ

2023 ᲙᲕᲘᲠᲐ

სიბრძ 12,13.16-19; ფს 85; რომ 8,26-27; მთ 13,24-43

ბატონო, შენ ხომ კარგი თესლი დათესე? მთ 13,27

უსაფუძვლოა ეჭვი: უფლისაგან მოდის მხოლოდ სიყვარული, სიკეთე... და საიდან მოდის ბოროტება, ტანჯვის მატარებელი, ასე რომ თრგუნავს მსოფლიოს, ეკლესიას და ჩვენს გულებსაც? მამაო, შენს სიყვარულზე სიძულვილი მიიღე პასუხად. ვიფხიზლებ და გულს გავუხსნი მხოლოდ მათ, ვინც შენზე კეთილად მოუბარია.

24 ივლისი

2023

რიგითი XVI კვირა [IV], მწ
წმ. სიბერეიუს მახლუფი, ხუცესი, +1898

ორშაბათი

გამ 14,5-18; საგ. გამ 15,1-6; მთ 12,38-42

კამილიელი მ. ნინო (ჯანჯიროლამო) მარტინის გახსენება (+2017)

დაფოფს მეც კაცისა ქვეფნის გულში სამ დღეს და სამ ღამეს მთ 12,40

იესო პასუხს სცემს მწიგნობრებსა და ფარისევლებს, რომლებიც მისგან რაიმე განსაკუთრებული ნიშნის ჩვენებას ითხოვენ. მათ არ აკმაყოფილებთ წინასწარმეტყველთა მინიშნებები. ამიტომაც, უარობს იესო სხვა ნიშნების გაცემაზე: ყველაზე დიდ ნიშანს თავად მამა გასცემს, როდესაც საფლავიდან აღამაღლებს მას, რაშიც ისინი უპირებენ გამომწყვდევას.

25 ივლისი

2023

წმ. იაკობ მოციქული, დ, [ს], წ;
(12.VII) ღირსნი იოანე და გაბრიელ ათონელნი, X ს.

სამშაბათი

2კორ 4,7-15; ფს 125; მთ 20,20-28

ჩემს ბარძიმს შესვამთ მთ 20,23

ბიბლიურ ენაზე სასმისი, იგივე ბარძიმი, ზიარებაზე მიუთითებს, უწინარესად, ტანჯვის გაზიარებაზე.
წმინდა იაკობ, შენმა დედამ იესოს თხოვა, რომ შენთვის და შენი ძმის - იოანესთვის ღირსეული ადგილი გამოეძებნა თავის სამეფოში. მაგრამ იესო ის მეფეა, ვინც თავისიანების მსახურებაში ბოლომდე, სიცოცხლის გაწირვამდე დგას: ის მხოლოდ მსახურების ადგილს გვპირდება! ყოველივე დანარჩენზე მამა იფიქრებს.

26 ივლისი

2023

რიგითი XVI კვირა [IV], მწ

წმიდანი იოაკიმე და ანა, მშობელნი ნეტარი ქალწული მარიამისა, (მ), თ

ოთხშაბათი

გამ 16,1-5.9-15; ფს 77; მთ 13,1-9

ბევრ რასმე ასწავლიდა
მათ იგავებით მთ 13,3

უფალო იესო, შენ სიყვარული გალა-
პარაკებს იგავებით! გსურს, რომ შენი
სიტყვა - საუკუნო ცხოვრების თესლი, ამ
ცხოვრების დასაბამად იქცეს ყველა შენი
მსმენელისთვის. შენი სიტყვის მუდმივი
მეგზურია სულიწმიდა: ის გაუნათებს
გონებას შენს მსმენელთ, რათა შეიმეც-
ნონ იგი.

27 ივლისი

2023 ხუთშაბათი

გამ 19, 1-2.9-11.16-20; ფს: დან 3,52-56; მთ 13,10-17

ნეტარ არიან თქვენი ყურნი იმიტომ,
რომ ისმენენ მთ 13,16

იესოს სიტყვების მოსმენა და გაგება სულიწმიდის დიდი მადლია.
იესო ხვდებოდა, რომ მის მოწაფეებს ესმოდათ მისი ნათქვამი, თუნდაც ბოლომდე ვერ იაზრებდნენ: ამით ხარობდა და აკურთხებდა ზეციერ მამას.
ჩვენშიც შემოდი, სულო წმიდაო და გვაქციე სმენად!

28 ივლისი

2023

რიგითი XVI კვირა [IV], მწ

(15.VII) წმმ. ივღიტა და კვიჰიკე, წამ. (+~305)

პარასკევი

გამ 20,1-17; ფს 18; მთ 13,18-23

ვინც ისმენს სიტყვას,
გამოაქვს ნაყოფი მთ 13,23

„პოხიერ ნიადაგზე დათესილი კი ის არის, ვინც ისმენს და კიდეც შეიგნებს სიტყვას“: ეს თესლი ბევრ ნაყოფს ისხამს. სიტყვა „შეგნება“, ანუ გონებით გაგება, გულში დამარხვა, ცხოვრებაში მოქმედებს, მას მამისა და მოყვასთა მოსაწონ ნაყოფად აქცევს და გარდაქმნის.

29 ივლისი

2023 შაბათი

1იო 4,7-16; ფს 33; იო 11,19-27 ან ლკ 10,38-42

მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე იო 11,25

იესო ღმერთად აცხადებს თავს, ვითარცა ერთი მამასთან. ახლახანს განუცხადა მართას, რომ ლაზარე გაცოცხლდებოდა. მართასაც სწამდა ბოლო ჟამს მკვდრეთით აღდგომის, როგორც ებრაელი ხალხის უმეტესობას, მაგრამ ვერასოდეს იფიქრებდა, რომ იესო, ოთხი დღის მკვდარ ძმას გაუცოცხლებდა. მართასთან ერთად, მეც მწამს იესო, რომ შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა, სიცოცხლის მომნიჭებლისა.

30 ივლისი

რიგითი XVII კვირადღე, «ა», [I], მწ

2023 ორშაბათი

3მეფ 3,5.7-12; ფს 118; რომ 8,28-30; მთ 13,44-52

ცათა სამეფო წაგავს მინდორში
დაფარულ საუნჯეს მთ 13,44

აღფრთოვანებით ვუმზერ იმ ადამიანებს, დიდი მონდომებით რომ ასრულებენ თავიანთ საქმეს: ზოგიც ქარხანაში, ზოგიც ავადმყოფის მოვლით, ზოგიც საოჯახო საქმეებით. სახეზე ღიმილი დასთამაშებთ: ხვდებიან, რომ იქ, სადაც უფალი მათ მიავლენს, თავადაც იქვეა და ცხადდება: ისინი უსახურ მინდორში დამალულ ლამაზ განძს პოულობენ!

31 ივლისი

2023

რიგითი XVII კვირა [I]

წმ. ეგნატე ლოიოლა, ხუც., +1556, (მ), თ

ორშაბათი

გამ 32,15-24.30-34; ფს 105; მთ 13,31-35

წარწერა ღვთისა იყო, დაფებზე ამოკვეთილი *გამ 32,16*

სინაის მთაზე, ქვის ორ ფირფიტაზე, ღვთის ხელით დაიწერა ათი სიტყვა. ამ სიტყვებს, თავისი სულიწმიდის მონა-ბერით აღბეჭდავს მამა ყოველი კაცის გულში: მათ დაცვაზე იქნება დამოკიდე-ბული კეთილსაქმენი მისი დიდებული ქმნილებისა ანუ ადამიანის - ქმნილე-ბათა შორის ყველაზე სრულყოფილის.